

[Georgian language document]

ვებ-გვერდის მოხმარებისთვის და შენაძენის გაკეთებისთვის დადგენილი წესები და პირობები

1. შესავალი ეს დოკუმენტი (მასში ხსენებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად) ადგენს ზოგად წესებსა და პირობებს, რომლებიც აწესრიგებს ამ ვებ-გვერდის (www.zara.com) მოხმარებისა და მასზე განთავსებული პროდუქტების შეძენის საკითხებს (შემდგომში წინამდებარე დოკუმენტი მოხსენიებულ იქნება, როგორც: „პირობები“).

ამ ვებ-გვერდის გამოყენებამდე, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ამ პირობებს, ჩვენს (ე.წ) „Cookie“-ების პოლიტიკას და ასევე, ჩვენს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებით პოლიტიკას (შემდგომში ხსენებული დოკუმენტები ერთობლივად მოხსენიებულ იქნებიან, როგორც: „მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა“). აქვე გაცნობებთ, რომ როდესაც თქვენ იყენებთ ამ ვებ-გვერდს ან მისი მეშვეობით აკეთებთ შენაძენს, თქვენზე ვრცელდება წინამდებარე პირობები და ჩვენი მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა. თუ თქვენ არ ხართ თანახმა მოცემულ პირობებზე ან/და არ ეთანხმებით მონაცემთა დამუშავების პოლიტიკას, გთხოვთ, არ გამოიყენოთ ეს ვებგვერდი.

წინამდებარე პირობები შეიძლება შეიცვალოს. თქვენი პასუხისმგებლობაა, რომ დროდადრო ახლიდან გაეცნოთ ამ პირობებს, რადგან ვებ-გვერდის გამოყენებისას ან შესაბამისი ხელშეკრულების (განმარტებულია შემდგომში) გაფორმებისას თქვენზე ვრცელდება იმ მომენტში მოქმედი პირობების რედაქცია.

თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვა ან შენიშვნა წინამდებარე პირობებთან ან მონაცემთა დამუშავების პოლიტიკასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი ონლაინ კონსულტაციის (ე.წ „ჩათის“) მეშვეობით, ან დაგვიკავშირდეთ სოციალურ ქსელებზე არსებული ჩვენი ოფიციალური მოხმარებლის (ე.წ „ექაუნთის“) გვერდებზე.

ხელშეკრულება (განმარტებულია შემდგომში) შესაძლებელია გაფორმდეს თქვენი გადაწყვეტილებით, ნებისმიერ იმ ენაზე, რომელზეც ეს პირობები ხელმისაწვდომია ამ ვებ-გვერდზე.

2. ჩვენს შესახებ ამ ვებ-გვერდზე არსებული პროდუქტების გაყიდვა ხდება „შპს Spanish Retail Georgia“-ს მიერ: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული იურიდიული პირი, „საიდენტიფიკაციო ნომერი: 404404774“, „მისამართი: თელავის N20, თბილისი“.

3. თქვენი მონაცემები და თქვენი ვიზიტ(ებ)ი ამ ვებ-გვერდზე თქვენს მიერ ჩვენთვის მოწოდებული თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება მონაცემთა დამუშავების პოლიტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. როდესაც თქვენ იყენებთ ამ ვებ-გვერდს, თქვენ ეთანხმებით თქვენი მონაცემების დამუშავებას და ასევე, აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ თქვენს მიერ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია (მონაცემი) არის ნამდვილი და შესაბამისობაშია რეალობასთან.

4. ვებ-გვერდის გამოყენება როდესაც თქვენ იყენებთ ამ ვებ-გვერდს ან აკეთებთ შეკვეთას მისი მეშვეობით,

თქვენ ეთანხმებით შემდეგს:

ა) გამოიყენოთ ვებ-გვერდი მხოლოდ კანონიერი შეკვეთებისა და მოთხოვნების გასაკეთებლად;

ბ) არ განათავსოთ ცრუ და თაღლითური შეკვეთები.

აქვე გაცნობებთ, რომ თუკი იარსებობს იმის საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩვენს ვებგვერდზე სწორედ ასეთი შეკვეთა განთავსდა, ჩვენ ვიტოვებთ სრულ უფლებას, რომ გავაუქმოთ ასეთი შეკვეთა და მის შესახებ შევატყობინოთ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს;

გ) ზუსტად და სწორად მოგვაწოდოთ თქვენი ელ-ფოსტის მისამართი, საფოსტო მისამართი ან/და სხვა საკონტაქტო დეტალები. თქვენ ასევე აცხადებთ თანხმობას, რომ თქვენი შეკვეთების მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ დაგიკავშირდეთ თქვენს მიერ მოწოდებულ საკონტაქტო მისამართებზე (იხ. ჩვენი პერსონალური მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა).

თუ თქვენ არ მოგვაწვდით ჩვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას (მონაცემებს), თქვენ ვერ განათავსებთ შეკვეთას.

თქვენს მიერ ამ ვებ-გვერდზე შეკვეთის განთავსებისას, თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ ხართ სრულწლოვანი (18 წლის ან მეტის) და გაქვთ სამართლებრივი ქმედუნარიანობა იმისათვის, რომ დამოუკიდებლად გააფორმოთ ხელშეკრულებები.

5. სერვისის ხელმისაწვდომობა ამ ვებ-გვერდზე შემოთავაზებულ პროდუქტების მიტანის სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ საქართველოში.

6. ხელშეკრულების გაფორმება შეკვეთის განთავსებისთვის, თქვენ უნდა მიჰყვეთ შეძენის პროცედურას და მონიშნოთ „გადახდის ავტორიზაცია“. ამის შემდეგ, თქვენ მიიღებთ თქვენი შეკვეთის მიღების დამადასტურებელ ელექტრონულ საფოსტო წერილს (შემდგომში: „შეკვეთის დასტური“). ამასთან, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, თქვენ ინფორმირებული იქნებით თქვენი შეკვეთის გამოგზავნასთან დაკავშირებით (შემდგომში: „გამოგზავნის დასტური“). დამატებით, გამოგზავნის დასტურზე თანდართული იქნება ელექტრონული ქვითარი, სადაც მოცემული იქნება თქვენი შეკვეთის დეტალები (შემდგომში: „ელექტრონული ქვითარი“).

ეს პირობები და ხელშეკრულება ითვლება ჩვენს შორის გაფორმებულ წერილობით გარიგებად.

7. ხარვეზის გამოსწორების ტექნიკური საშუალებები ამ ვებ-გვერდის მომხმარებლის ანგარიშის შექმნისას (რეგისტრაციისას) თუ თქვენ შეცდომით შეიყვანთ რომელიმე (თქვენს) პერსონალურ მონაცემს, შემდგომში თქვენ შეგეძლება განაახლოთ თქვენი მონაცემები სწორი ინფორმაციით „ჩემი ანგარიში“-ის სექციიდან.

ნებისმიერ შემთხვევაში, ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი ონლაინ კონსულტაციის ან სოციალური ქსელებზე ჩვენს ოფიციალურ მომხმარებლთან (გვერდთან) დაკავშირების მეშვეობით, თქვენ გეძლევათ საშუალება, გამოასწოროთ ის ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდება შეკვეთის განხორციელების პროცესში, მათ შორის, თქვენს მიერ პერსონალური მონაცემების ჩვენთვის მოწოდებისას. ასევე, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი უფლება, რომელიც მინიჭებული გაქვთ ჩვენი პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის ფარგლებში, და ჩვენი სპეციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე - dataprotection@inditex.com შეტყობინების გამოგზავნის გზით, მოგვთხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების გასწორება, განაახლება ან/და ახალი ინფორმაციის დამატება. გაითვალისწინეთ, რომ ამ ვებგვერდის სექციებში იხილავთ არაერთ დადასტურების გრაფებს, რომლებიც არ იძლევიან შეკვეთის განხორციელების საშუალებას იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის სექციაში, თქვენს მიერ ინფორმაცია არასწორად არის მოწოდებული. გარდა ამისა, ვებგვერდი თქვენთვის ხელმისაწვდომს ხდის ყველა იმ პროდუქტის დეტალებს, რომელიც თქვენ მიერ, შენაძენის გაკეთების პროცესში, დამატებულია საყიდლების კალათაში, იმ მიზნით, რომ საფასურის გადახდამდე იოლად შეძლოთ გადახედოთ და საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოთ თქვენი შეკვეთის დეტალები/მოცულობა.

მას შემდეგ, რაც უკვე გადაიხდით პროდუქტ(ებ)ის საფასურს, თქვენ აღმოაჩენთ შეცდომას თქვენს შეკვეთაში, დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეთ ჩვენს საკონსულტაციო სამსახურს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი ონლაინ კონსულტაციის

სერვისის ან სოციალური ქსელებზე ჩვენი ოფიციალური მომხმარებლისთვის (გვერდისთვის) შეტყობინების გაგზავნის გზით.

8. პროდუქტის ხელმისაწვდომობა ჩვენს მიერ ვებ-გვერდზე პროდუქტის განთავსება არ ნიშნავს, რომ ის, ნებისმიერ შემთხვევაში, ხელმისაწვდომია. ამის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა სირთულე პროდუქტის მარაგთან დაკავშირებით ან საწყობში აღარ იქნება დარჩენილი შესაბამისი ნივთი, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, მოგაწოდოთ ინფორმაცია იგივე ან უფრო მაღალი ხარისხისა და ღირებულების მქონე ალტერნატიულ პროდუქტზე, რომლის შეკვეთაც შეგეძლებათ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ ისურვებთ ალტერნატიული პროდუქტ(ებ)ის შეკვეთას, ჩვენ, ამ პირობებით დადგენილი წესის შესაბამისად, აგინაზღაურებთ (დაგიბრუნებთ) თქვენს მიერ გადახდილ, ნებისმიერი ოდენობის თანხას.

9. შეკვეთის დამუშავებაზე უარი ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, ნებისმიერი დროს, წავშალოთ ნებისმიერი პროდუქტი ვებ-გვერდიდან და რომ, წავშალოთ ან შევცვალოთ ნებისმიერი მასალა ან ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოველთვის გავაკეთებთ ყველაფერს, რათა დავამუშავოთ ყველა მიღებული შეკვეთა, შესაძლებელია არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც გვაიძულებენ, რომ უარი ვთქვათ გარკვეული შეკვეთის დამუშავებაზე, მათ შორის, მას შემდეგ, რაც მომხმარებელს გაეგზავნება შეკვეთის დასტური. ჩვენ ვიტოვებთ სრულ უფლებას, რომ ეს ნებისმიერ დროს გავაკეთოთ (უარი ვთქვათ შეკვეთაზე).

ჩვენი ვებ-გვერდიდან პროდუქტების წაშლის, ნებისმიერი მასალის ან ინფორმაციის შეცვლის/წაშლის, ან შეკვეთის დასტურის გაგზავნის შემდეგ, შეკვეთის დამუშავებაზე უარის განცხადების დროს, ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი თქვენს, ან ნებისმიერი მესამე პირის წინაშე

10. მიტანის სერვისი მიუხედავად ამ დოკუმენტის მე-8 მუხლის (პროდუქტის ხელმისაწვდომობა) შინაარსისა და ასევე, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ჩვენ გამოვავაზვით შეკვეთას, რომელიც შედგება იმ პროდუქტებისგან, რომელიც ჩამოთვლილია კონკრეტულ გამოგზავნის დასტურში, იმ თარიღის წინა დღეს, რომელიც მითითებულია ამ გამოგზავნის დასტურში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელში არ არის მითითებული ასეთი თარიღი - იმ მიახლოებით დროში, რომელიც ფიქსირდება მიტანის მეთოდის არჩევისას (შეკვეთის განთავსების პროცესში) და, ნებისმიერი შემთხვევაში, არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა მას შემდეგ, რაც ხდება შეკვეთის დასტურის გამოგზავნა.

თუმცა, შესაძლებელია მოხდეს მიტანის დაყოვნება გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის ან მიტანის ადგილის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით, ვერ ვახერხებთ მიტანის ვადების დაცვას, ჩვენ გაგაფრთხილებთ ამ გარემოების თაობაზე და შემოგთავაზებთ, რომ მაინც მიიღოთ შეკვეთა, ახალი მიტანის დროის მითითებით, ან რომ გააუქმოთ შეკვეთა, რა შემთხვევაშიც, დაგიბრუნდებათ თქვენს მიერ გადახდილი თანხა. გახსოვდეთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი მიტანის სერვისი არ არის ხელმისაწვდომი შაბათკვირას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასვენების დღეებში.

ამ პირობების მიზნებისათვის, მიტანის სერვისის ფარგლებში, გზავნილი ჩაბარებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც თქვენ ან თქვენს მიერ მითითებული პირი, ფაქტობრივ მფლობელობაში მიიღებს პროდუქტ(ებ)ს, რაც დასტურდება შესაბამის აქტზე ხელმოწერით, როდესაც გზავნილი მოტანილ იქნება თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე.

11. ჩაბარების შეუძლებლობა.

თუკი ჩვენთვის შეუძლებელი იქნება თქვენი შეკვეთის ჩაბარება/მოტანა, ჩვენ დავტოვებთ შეკვეთას რუსთაველის ქუჩა N24-ში, მერანის სავაჭრო ცენტრში არსებულ Zara-ს მაღაზიაში.

ჩვენ ასევე დაგიტოვებთ წერილობით განმარტებას, სადაც ახსნილი იქნება სად არის თქვენი შეკვეთა და რა უნდა გააკეთოთ მისი ხელახლა თქვენს ადგილსამყოფელში გამოგზავნისთვის. იმ შემთხვევაში, თუ დათქმულ დროს თქვენ არ იქნებით მიტანის ადგილზე, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ სხვა მიტანის დროზე შესათანხმებლად.

თუკი 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც თქვენი შეკვეთის ადგილზე მოტანა ობიექტურად შესაძლებელი გახდება, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზ(ებ)ით, გზავნილის თქვენთვის ჩაბარება ვერ მოხერხდება, ჩათვლილ იქნება, რომ თქვენ გსურთ ხელშეკრულებიდან გასვლა და ის შეწყვეტილ იქნება. ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად, შეწყვეტიდან დღიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, ნებისმიერი შეუსაბამო დაყოვნების გარეშე, ჩვენ აგინაზღაურებთ (დაგიბრუნებთ) ნებისმიერ თანხას, რომელიც თქვენგან მივიღეთ, მათ შორის, მიტანის სერვისის საკომისიოს (გარდა იმ დამატებითი ხარჯებისა, რომელიც წარმოიშვა თქვენს მიერ, სტანდარტული მიტანის სერვისისგან განსხვავებული, ჩვენს მიერ შემოთავაზებული, ალტერნატიული მიტანის მეთოდის არჩევის შედეგად).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად, შესაძლოა წარმოიშვას დამატებითი ტრანსპორტირების ხარჯი, რომელზეც უფლებას ვიტოვებთ, რომ დაგაკისროთ თქვენ.

11.¹ ექსპრეს შეკვეთა

ექსპრეს შეკვეთის ფუნქცია (შემდგომში „ექსპრეს შეკვეთა“/“Express Checkout“) გაგიადვილებთ შესყიდვებს ამ ვებსაიტზე, რადგან არ გჭირდებათ თითოეული შესყიდვისთვის მიწოდების, ბილინგის და გადახდის ინფორმაციის შეყვანა. ექსპრეს შეკვეთა ხელმისაწვდომია "შესყიდვის ჩანთის" განყოფილებაში.

Express Checkout-ის გამოსაყენებლად, თქვენ უნდა შეინახოთ თქვენი ბარათის ინფორმაცია. ამის გაკეთება შეგიძლიათ ამ ვებსაიტის მიერ მიღებული ნებისმიერი ბარათით გადახდისას დაწკაპუნებით "ჩემი ბარათის დეტალების შენახვა" ოფციაზე. ეს გამოიწვევს ბარათის შემდეგი დეტალების შენახვას: ბარათის ნომერი, ბარათის მფლობელის სახელი ზუსტად ისე, როგორც ეს მითითებულია ბარათზე და ბარათის ვადის გასვლის თარიღი.

თქვენი ბარათის ინფორმაციის შესანახად და Express Checkout-ის გამოსაყენებლად, თქვენ უნდა დაეთანხმოთ მოქმედ პირობებს და კონფიდენციალურობისა და cookies-ს პოლიტიკას.

Express Checkout-ის გამოყენებაზე თანხმობით, თქვენ უფლებას გვაძლევთ, რომ ინსტრუმენტის მეშვეობით გადახდილი შესყიდვები ჩამოიჭრას ხელსაწყოსთან დაკავშირებულ შესაბამის ბარათზე. ბარათის გამოყენება რეგულირდება თქვენსა და ბარათის გამცემს შორის არსებული წერილობითი პირობებით ყველა შემთხვევაში.

თქვენ შეგიძლიათ შეინახოთ ბარათის ინფორმაცია Express Checkout-ში იმდენი ბარათისთვის, რამდენიც გსურთ, ამისათვის თქვენ უნდა განახორციელოთ მინიმუმ ერთი გადახდა თითოეული მათგანით. თუ გსურთ ბარათის ინფორმაციის შენახვა ერთზე მეტ ბარათზე, ბარათი, რომლის ინფორმაციაც ყველაზე ცოტა ხნის წინ იყო შენახული, ჩაითვლება თქვენს „რჩეულ ბარათად“ და სტანდარტულად ჩამოიჭრება Express Checkout შესყიდვებისთვის. თუმცა, შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენთვის სასურველი ბარათით ამ ვებგვერდის „ჩემი ანგარიშის განყოფილებაში“.

ამ პუნქტის დებულებები არ ვრცელდება, თუ საქონელს ყიდულობთ როგორც სტუმარი/Guest.

12. პროდუქტზე საკუთრების უფლების გადაცემა და რისკის გადასვლა ამ პირობების მე-10 მუხლის შესაბამისად, შეკვეთის თქვენთვის ჩაბარების მომენტიდან, მიღებულ პროდუქტ(ებ)ზე პასუხს თავად აგებთ.

თქვენ მიიღებთ მფლობელობას/საკუთრებას პროდუქტ(ებ)ზე მას შემდეგ, რაც ჩვენ მივიღებთ კუთვნილ ანაზღაურებას სრულად, მათ შორის, მიტანის სერვისის საკომისიოს, ან ჩაბარების მომენტიდან (ამ პირობების მე-10 მუხლის შესაბამისად), თუ ეს შედარებით გვიან მოხდა.

13. ღირებულება და მისი გადახდის წესი ნებისმიერ შემთხვევაში, პროდუქტ(ებ)ის ღირებულება შესაბამისობაში იქნება ვებ-

გვერდზე ასახულ ინფორმაციასთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა აშკარა შეცდომა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვაკეთებთ მაქსიმუმს, რათა ვებ-გვერდზე ასახული ფასები ყოველთვის სწორი იყოს, შეცდომის არსებობა მაინც შესაძლებელია. თუკი ჩვენ იმ პროდუქტ(ებ)ის ფასში აღმოვაჩინებთ შეცდომას, რომელიც თქვენ უკვე შეუკვეთეთ, ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად შეგატყობინებთ ამის თაობაზე და მოგცემთ შესაძლებლობას, რომ კორექტირებული ფასის მიხედვით დაადასტუროთ ხელშეკრულება, ან შეწყვიტოთ იგი. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვერ შევძელით თქვენთან დაკავშირება, შეკვეთა გაუქმებულად ჩაითვლება და თქვენს მიერ გადახდილი თანხები სრულად აგინაზღაურდებათ (დაგიბრუნდებათ).

ჩვენ არ გვაქვს ვალდებულება არასწორ, უფრო დაბალ ფასად მოგაწოდოთ რომელიმე პროდუქტი (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამოგზავნილი გვაქვს გამოგზავნის დასტური), თუკი შეცდომა ფასში აშკარა და უეჭველია, და გონივრულ ფარგლებში, თქვენი მხრიდან შესაძლებელი იყო ფასის შეცდომის იდენტიფიცირება. ვებ-გვერდზე განთავსებული პროდუქტების ფასები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ-ს), მაგრამ არ მოიცავს მიტანის საკომისიოს, რომელიც, თავის მხრივ, ემატება საბოლოო ფასს ჩვენი შენაძენის განხორციელების გზამკვლევის შესაბამისად (იხ. მიტანის სერვისის ფასების სექცია).

ფასები შესაძლოა შეიცვალოს ნებისმიერ დროს. მიუხედავად ამისა, ზემოთ გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, ფასის ცვლილება არ შეეხება იმ შენაძენებს/შეკვეთებს, რომლებზეც ჩვენ გამოგზავნილი გვაქვს შეკვეთის დასტური. მას შემდეგ, რაც თქვენ აირჩევთ ყველა იმ პროდუქტს, რომლის შეძენაც გსურთ, ის(ინი) დაემატება თქვენს კალათაში. ამის შემდგომი ნაბიჯია თქვენი შეკვეთის დამუშავება და გადახდა. ამ კუთხით, თქვენ ეტაპობრივად უნდა მიჰყვეთ შენაძენის გაკეთების პროცესს, რა დროსაც უნდა შეიყვანოთ ან დაადასტუროთ ყველა მონაცემი, რომელიც თქვენგან მოთხოვნილი იქნება შენაძენის გაკეთების კონკრეტული ეტაპზე, ანგარიშსწორებამდე. ამას გარდა, შენაძენის გაკეთების პროცესში, ანგარიშსწორებამდე,

თქვენ გაქვთ საშუალება შეცვალოთ თქვენი შეკვეთის დეტალები. ამ მიზნით, თქვენთვის ხელმისაწვდომია შენაძენის განხორციელების გზამკვლევი. ამასთან, თუ თქვენ ხართ რეგისტრირებული მომხმარებელი, თქვენს მიერ გაკეთებულ ნებისმიერ შეკვეთაზე ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ „ჩემი ანგარიში“-ის სივრცეში.

როგორც გადახდის მეთოდი, გადახდა შეიძლება განხორციელდეს Visa, MasterCard, American Express და ასევე თქვენ შეგიძლიათ გადახდა მაღაზიაში ან კურიერთან ნაღდი ანგარიშსწორებით თქვენი შეკვეთის მიტანისას.

არასანქცირებული არავტორიზებული წვდომის შესაძლებლობის შესამცირებლად, თქვენი საკრედიტო ბარათის დეტალები დაშიფრული იქნება. „გადახდის უფლებაზე“ დაწკაპუნებით თქვენ ადასტურებთ, რომ საკრედიტო ბარათი თქვენია. საკრედიტო ბარათები ექვემდებარება ვალიდაციის შემოწმებას და ავტორიზაციას თქვენი ბარათის გამცემის მიერ, მაგრამ თუ თქვენი ბარათის გამცემი არ გვამღევეს ავტორიზაციას გადახდის შესახებ, ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი რაიმე დაგვიანებაზე ან მიწოდებაზე და შესაძლოა ვერ მოვახერხოთ თქვენთან ხელშეკრულების დადება.

14. დამატებული ღირებულების გადასახადი მოქმედი წესებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, ვებ-გვერდის მეშვეობით გაკეთებული ნებისმიერი შენაძენი ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადის დარიცხვას.

15. გადაცვლის/დაბრუნების პოლიტიკა

15.1. ხელშეკრულებიდან გასვლა (მისი შეწყვეტა) ხელშეკრულებიდან გასვლის (მისი შეწყვეტის) უფლება

თუ თქვენ ხელშეკრულების მომხმარებლის მხარე ხართ, თქვენ გაქვთ უფლება, შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე, გახვიდეთ ხელშეკრულებიდან (შეწყვიტოთ ის), 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში.

ხელშეკრულებიდან გასვლის (შეწყვეტის) უფლების მოქმედების ვადა ამოიწურება 14 (თოთხმეტი) დღის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც თქვენ, ან თქვენს მიერ მითითებული მესამე პირი, ფიზიკურ/ფაქტობრივ მფლობელობაში მიიღებთ შეძენილ პროდუქტ(ებ)ს, ან თუ საუბარია ერთი შეკვეთაში არსებულ რამდენიმე პროდუქტზე, რომელიც ცალ-ცალკე იქნება გამოგზავნილი, 14 (თოთხმეტი) დღის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც თქვენ, ან თქვენს მიერ მითითებული მესამე პირი, ფიზიკურ/ფაქტობრივ მფლობელობაში მიიღებთ ასეთი შეკვეთის უკანასკნელ პროდუქტს.

ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების გამოყენებისთვის, თქვენ შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ შეტყობინება „ZARA“-ში, სადაც დაფიქსირდება თქვენი

არაორაზროვანი გადაწყვეტილება, რომ წყვეტთ ხელშეკრულებას. ასეთი შეტყობინების გამოგზავნა შეგიძლიათ ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი ონლაინ კონსულტაციის (ე.წ. „ჩათის“) დახმარებით, ან სოციალურ ქსელებზე არსებული ჩვენი ოფიციალური მომხმარებლის (ე.წ. „ექაუნთის“) გვერდებზე შეტყობინების გამოგზავნით. ჩვენთვის, თქვენს მიერ, ამ უფლების გამოყენების შესახებ შეტყობინების გამოგზავნის დროს, შეგიძლიათ გამოიყენოთ ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმა, რომელიც ერთვის ამ პირობებს დანართის სახით, მაგრამ ამ ფორმის გამოყენება სავალდებულო არ არის.

იმისათვის, რომ თქვენ უპრობლემოდ გამოიყენოთ ხელშეკრულების შეწყვეტის (ხელშეკრულებიდან გასვლის) უფლება, შედეგიანი იქნება თუკი თქვენ, თქვენს შეტყობინებას (უფლების გამოყენების თაობაზე) გამოგვიგზავნით ზემოთ ხსენებული ვადის ამოწურვამდე.

ხელშეკრულებიდან გასვლის (მისი შეწყვეტის) შედეგები

თუ თქვენ გახვალთ ხელშეკრულებიდან (შეწყვეტთ მას), ჩვენ, შეწყვეტის დღიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, ყოველგვარი შეუსაბამო დაყოვნების გარეშე, დაგიბრუნებთ (აგინაზღაურებთ) თქვენგან მიღებულ ნებისმიერ გადახდას, მათ შორის, მიტანის სერვისის საკომისიოს (გარდა იმ დამატებითი ხარჯებისა, რომელიც წარმოიშვა თქვენს მიერ, სტანდარტული მიტანის სერვისისგან განსხვავებული, ჩვენს მიერ შემოთავაზებული, ალტერნატიული მიტანის მეთოდის არჩევის შედეგად). ამასთან, თქვენთვის თანხის დაბრუნება მოხდება იმავე მეთოდით, რომელიც თქვენ გამოიყენეთ პროდუქტების შეძენისას. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენს მიერ თქვენთვის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით, არ დაგეკისრებათ რაიმე დამატებითი ხარჯი. მიუხედავად ხსენებულისა, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, დავაყოვნოთ თქვენთვის თანხის დაბრუნება იქამდე, სანამ უკან არ დაგვიბრუნდება პროდუქტები.

თავის მხრივ თქვენ, ვალდებული ხართ, დაუყოვნებლივ და ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღისა მას შემდეგ, რაც ჩვენს წინაშე განაცხადებთ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, უკან გამოგვიგზავნოთ ან საქართველოში არსებულ ნებისმიერ „ZARA“-ს მაღაზიაში თავად მოგვაწოდოთ პროდუქტები. ხსენებულ ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მის ამოწურვამდე (თუნდაც მე-14 დღეს) უკან გამოგვიგზავნით პროდუქტებს.

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროდუქტებს უშუალოდ საქართველოში არსებულ ნებისმიერ „ZARA“-ს მაღაზიაში თავად დაგვიბრუნებთ, თქვენ გეკისრებათ მათი ჩვენთვის სხვა გზებით დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები.

გარდა ამისა, თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა პროდუქტების გამოყენების შედეგად მათი ღირებულების ნებისმიერი სახით შემცირებაზე, გარდა ისეთი

გამოყენებისა, რომელიც აუცილებელია პროდუქტების ნატურის, თვისებებისა და გამოყენებადობის დადგენისთვის.

15.2. ხელშეკრულებიდან გასვლასთან (მის შეწყვეტასთან) დაკავშირებული დამატებითი უფლებები

გარდა იმ უფლებისა, რომელიც აღნიშნულია პირობების 15.1 პუნქტში, ჩვენ გაძღვებით 30 (ოცდაათ) დღიან პერიოდს, რომ დააბრუნოთ პროდუქტები (გარდა იმ პროდუქტებისა, რომელიც ჩამოთვლილია ამ პირობების 15.3 პუნქტში და რომელთა დაბრუნებაც დაუშვებელია). ხსენებული ვადის ათვლა დაიწყება პროდუქტების, ამ პირობებით გათვალისწინებული წესით, თქვენთვის ჩაბარებიდან.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ პროდუქტებს დაგვიბრუნებთ 15.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ამ პუნქტით (15.2) გათვალისწინებული ვადისა, მაშინ თქვენ აგინაზღაურდებათ მხოლოდ პროდუქტების ღირებულება. ამასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროდუქტებს უშუალოდ საქართველოში არსებულ ნებისმიერ „ZARA“-ს მაღაზიაში თავად დაგვიბრუნებთ, თქვენ გეკისრებათ მათი ჩვენთვის სხვა გზებით დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ამ პირობების 15.1 პუნქტის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, თუ თქვენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს შეგვატყობინებთ ხსენებულ პუნქტში მოცემული ვადის შემდეგ, თქვენ, ნებისმიერ შემთხვევაში, ვალდებული ხართ დაგვიბრუნოთ პროდუქტები 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, რომელიც აითვლება პროდუქტების თქვენთვის ჩაბარების დადასტურებიდან.

15.3. სტანდარტული პირობები თქვენ არ გექნებათ ხელშეკრულებიდან გასვლის (მისი შეწყვეტის) უფლება,

როდესაც საქმე ეხება შემდეგი პროდუქტების თქვენთვის მოწოდებას:

- ა) ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებული ნივთები;
- ბ) მუსიკალური „სი-დი“/„დი-ვი-დი“ დისკები, თუ მათ არ ახლავთ თავდაპირველი შეფუთვა;
- გ) დალუქული ან ჰერმეტიკულად დახურული პროდუქტები, რომლებიც მიტანის შემდეგ გაიხსნა და ასეთი ნივთები, ჰიგიენის ნორმების გათვალისწინებით, არ არის განკუთვნილი უკან დაბრუნებისთვის.

თქვენი უფლება, რომ შეწყვიტოთ ხელშეკრულება ექსკლუზიურად ეხება იმ პროდუქტებს, რომლებიც ბრუნდება იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ის მიიღეთ. ანაზღაურება (თანხის დაბრუნება) არ მოხდება, თუკი პროდუქტ(ებ)ის შეფუთვის

გახსნიდან ის(ინი) ერთხელ მაინც იქნა გამოყენებული, რის შედეგადაც ის(ინი) აღარ არის იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო თქვენთვის ჩაბარებიდან ან ის(ინი) დაზიანებულია. შესაბამისად, გთხოვთ, გაუფრთხილდეთ მიღებულ პროდუქტ(ებ)ს, სანამ ის(ინი) თქვენს მფლობელობაშია. გთხოვთ, პროდუქტ(ებ)ი დააბრუნოთ მის თავდაპირველ შეფუთვაში ან მასთან ერთად, მათ შორის, მათი არსებობის შემთხვევაში, მოხმარების ინსტრუქცია და სხვა დოკუმენტებიც. ნებისმიერ შემთხვევაში, დასაბრუნებელი პროდუქტ(ებ)ი უნდა დააბრუნოთ იმ ქვითართან ერთად, რომელიც მიიღეთ მისი (მათი) ჩაბარებისას. დამატებით, შეკვეთის მიღებისას (თქვენთვის ჩაბარების დროს), თქვენ, შეჯამებული სახით, მიიღებთ ინსტრუქციას ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

შეკვეთის გაუქმებისას/ხელშეკრულების შეწყვეტისას, შესაბამისი პროდუქტები უნდა დაბრუნდეს შემდეგნაირად:

- ა) „ZARA“-ს მაღაზიაში დაბრუნება: მიღებული შეკვეთა (პროდუქტები) შეგიძლიათ დააბრუნოთ ქვეყნის (სადაც მიიღეთ შეკვეთა) ნებისმიერ „ZARA“-ს მაღაზიაში, იმ პირობით, რომ ასეთ მაღაზიას აქვს ის სექცია, რომელშიც ხვდება თქვენს მიერ შეძენილი (და დაბრუნებული) პროდუქტი. ასეთ შემთხვევაში, მაღაზიაში გამოცხადებისას და პროდუქტების დაბრუნებისას, თქვენ თან უნდა ჰქონდეთ ელექტრონული ქვითარი, რომელსაც მიიღებდით გამოგზავნის დასტურთან ერთად, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდის თქვენი მომხმარებლის ანგარიშზე („ექაუნთზე“) და ასევე, „ZARA“-ს მობილურ აპლიკაციაში. ხსენებული ქვითარი თქვენ შეგიძლიათ წარმოადგინოთ ციფრულად (მაგ. მობილური ტელეფონის მეშვეობით) ან ამობეჭდოთ და ფიზიკურად მოიტანოთ ის მაღაზიაში.
- ბ) კურიერის მეშვეობით დაბრუნება: როდესაც მიღებულ პროდუქტ(ებ)ს ჩვენს მიერ შემოთავაზებული საკურიერო სერვისით გვიბრუნებთ, ამის თაობაზე წინასწარ უნდა დაგვიკავშირდეთ ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი ონლაინ კონსულტაციის (ე.წ. „ჩათის“) დახმარებით, რათა ორგანიზებულ იქნას მიღებული პროდუქტ(ებ)ის თქვენი მისამართიდან წამოღება. ასეთ პროდუქტები უნდა გამოგზავნოთ პირვანდელ შეფუთვაში და ასევე, მიჰყვეთ ვებ-გვერდის „დაბრუნება“-ის სექციაში არსებულ ინსტრუქციას. ჩამოთვლილი ვარიანტებიდან არცერთი მოითხოვს თქვენგან დამატებითი ხარჯების გაწევას.

პროდუქტ(ებ)ის მიღებისა და ამ პუნქტის შინაარსის შემოწმების შედეგად, ჩვენ შეგატყობინებთ გაქვთ თუ არა გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება. გაითვალისწინეთ, რომ მიტანის სერვისის საკომისიო დაგიბრუნდებათ

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულებას შეწყვეტთ ამ პირობების 15.1 პუნქტში ხსენებულ ვადაში და მიღებულ პროდუქტ(ებ)ს დაგვიბრუნებთ. თავის მხრივ, ჩვენ, თქვენს კუთვნილ თანხას მაქსიმალურად მოკლე ვადებში აგინაზღაურებთ, კერძოდ, ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღისა მას შემდეგ, რაც შეგვატყობინებთ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილის თაობაზე.

მიუხედავად ხსენებულისა, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, დავაყოვნოთ თქვენთვის თანხის დაბრუნება იქამდე, სანამ უკან არ დაგვიბრუნდება პროდუქტები. ამასთან, თქვენთვის თანხის ანაზღაურება შესაძლებელია მოხდეს იმავე მეთოდებით, რომელიც თქვენ გამოიყენეთ შენაძენის გაკეთებისას, თუ დაბრუნება მოხდა მაღაზიაში.

ჩვენთვის პროდუქტ(ებ)ის დაბრუნების რისკებსა და ხარჯებს იკისრებთ თქვენ, ზემოთ აღნიშნული პირობების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ვებ-გვერდზე არსებული ონლაინ კონსულტაციის (ე.წ. „ჩათის“) მეშვეობით ან სოციალურ ქსელებზე არსებული ჩვენი ოფიციალური მომხმარებლის (ე.წ. „ექაუნთის“) გვერდებზე შეტყობინების გამოგზავნის გზით.

15.4. ნაკლიანი პროდუქტების დაბრუნება თუკი მიგაჩნიათ, რომ შეკვეთის შედეგად, თქვენს მიერ მიღებული პროდუქტ(ებ)ი არ შეესაბამება იმ პირობებს/ხარისხს, რომელიც მოცემულია ხელშეკრულებაში, დაუყოვნებლივ უნდა დაგვიკავშირდეთ ვებ-გვერდზე არსებული ონლაინ კონსულტაციის (ე.წ. „ჩათის“) მეშვეობით ან სოციალურ ქსელებზე არსებული ჩვენი ოფიციალური მომხმარებლის (ე.წ. „ექაუნთის“) გვერდებზე შეტყობინების გამოგზავნის გზით. ასეთ შეტყობინებაში უნდა მოგვაწოდოთ პროდუქტ(ებ)ის დეტალები და თუ რაში გამოიხატება მისი ნაკლოვანება (მათ შორის, დაზიანება).

ასეთი პროდუქტ(ებ)ი უნდა დაგვიბრუნოთ საქართველოში არსებულ რომელიმე „ZARA“-ს მაღაზიაში ან გადასცეთ კურიერს, რომელსაც ჩვენ თქვენს მისამართზე გამოგვაგზავნით.

ჩვენ ყურადღებით შევამოწმებთ დაბრუნებულ პროდუქტ(ებ)ს და გონივრულ ვადაში, ელექტრონულ ფოსტაზე გამოგიგზავნით შეტყობინებას, სადაც განგიმარტავთ შესაძლებელი იქნება თუ არა პროდუქტ(ებ)ის გადაცვლა, ან გაქვთ თუ არა შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამ პუნქტში ხსენებული გადაცვლა ან ანაზღაურება მოხდება მაქსიმალურად მოკლე ვადებში, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღისა მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოგიგზავნით ელექტრონულ საფოსტო წერილს, სადაც ვადასტურებთ, რომ თქვენ შეგიძლიათ პროდუქტ(ებ)ის გადაცვლა ან ანაზღაურების (თანხის უკან დაბრუნების) მოთხოვნა.

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა დაბრუნებული პროდუქტ(ებ)ის ნაკლოვანება (დაზიანება, დეფექტი და სხვ.), ჩვენ სრულად აგინაზღაურებთ გადახდილ თანხას, მათ შორის, ნებისმიერ თქვენს ხარჯს, რომელიც გამოწვეულ იქნა ამ პროდუქტ(ებ)ის ჩვენთვის დაბრუნებით. თანხის დაბრუნება ყოველთვის მოხდება იმავე გადახდის მეთოდით, რომელიც თქვენ გამოიყენეთ შესაბამისი შენაძენის გაკეთებისას.

თქვენი ნებისმიერი უფლება, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, ნებისმიერ შემთხვევაში, დაცულ იქნება.

16. პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობის გაქარწყლება და კანონისმიერი სამომხმარებლო უფლებები გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე პირობები პირდაპირ ადგენს განსხვავებულ წესს, ჩვენი პასუხისმგებლობის ფარგლები, ნებისმიერ იმ პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებით, რომლის შეძენაც ჩვენი ვებ-გვერდის მეშვეობით ხდება, შემოიფარგლება მხოლოდ ასეთი პროდუქტ(ებ)ის შეძენის სანაცვლო ღირებულების ოდენობით. მიუხედავად ამისა, ჩვენი პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება ან არ შემცირდება

ისეთ შემთხვევებში, როდესაც:

- ა) ჩვენი დაუდევრობა გამოიწვევს პირის გარდაცვალებას ან ფიზიკურ ზიანს მიაყენებს მას;
- ბ) თაღლითობის ან თაღლითური სიცრუის შემთხვევაში; ან
- გ) ჩვენი პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შემცირება, ან ამის მცდელობა, უკანონო ან აკრძალულია.

მიუხედავად ხსენებულისა, კანონით დასაშვებ ფარგლებში და იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პირობები არ ითვალისწინებს რაიმე განსხვავებულს, ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი შემდეგ დანაკარგებზე/ზარალზე (მიუხედავად მათი წარმოშობის წყაროსი):

- ა) შემოსავლის ან გაყიდვების დანაკარგი;
- ბ) საოპერაციო ზარალი;
- გ) მოგების ან კონტრაქტების დანაკარგი;
- დ) პროგნოზირებული დანაზოგის დანაკარგი;
- ე) მონაცემების დანაკარგი;
- ვ) ბიზნესის ან მენეჯმენტის დროის დანაკარგი.

ვებ-გვერდის ხელმისაწვდომი ბუნების და საწყობში, ან მოთხოვნის დამუშავების/გადაცემის დროს, შეცდომების დაშვების ალბათობის გათვალისწინებით, ჩვენ არ ვიძლევიტ გარანტიას იმ ინფორმაციის ყოველმხრივ სისწორესა და უსაფრთხოებაზე, რომელიც გადმოცემულია ან მიღებულია ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვებ-გვერდზე განსხვავებული რამ არის მითითებული.

პროდუქტ(ებ)ის ნებისმიერი აღწერა, ინფორმაცია და შემადგენლობა, რომელიც გამოსახულია ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია როგორც არის იმ მდგომარეობით, რაიმე პირდაპირი ან ირიბი გარანტიის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ამ კუთხით, თუ თქვენ ხართ ხელშეკრულების დამკვეთი მხარე ან მომხმარებელი, ჩვენ გვაქვს ვალდებულება მოგაწოდოთ შეკვეთა (პროდუქტები), რომელიც სრულ შესაბამისობაშია ხელშეკრულებასთან და ვინარჩუნებთ პასუხისმგებლობას ყოველგვარ ნაკლოვანებაზე, რომელიც არსებობს შეკვეთის თქვენთვის გადმოცემისას. მიჩნეულია, რომ პროდუქტ(ებ)ი შესაბამისობაშია ხელშეკრულებასთან, თუ ის(ინი): (ა) შესაბამისობაშია იმ აღწერილობასთან, რომელიც მოწოდებულია ჩვენს მიერ და მას (მათ) გააჩნია ის თვისებები, რომელიც ჩვენ აღვწერეთ ვებ-გვერდზე; (ბ) გამოსადეგია იმ მიზნებისთვის, რომლებისთვისაც მსგავსი პროდუქტ(ებ)ი ზოგადად გამოიყენება; (გ) იმ ხარისხის და მახასიათებლების არის, როგორც ნორმად მიჩნევა მსგავსი ტიპის პროდუქტ(ებ)ში და როგორც გონივრულობის ფარგლებში არის მოსალოდნელი. კანონით დაშვებ ფარგლებში, ჩვენ ვიხსნით ყველა გარანტიას, გარდა იმ გარანტიებისა, რომელთა გამორიცხვა კანონით დაუშვებელია.

17. ინტელექტუალური საკუთრება თქვენ აღიარებთ და ეთანხმებით, რომ ყველა საავტორო უფლება, რეგისტრირებული სასაქონლო (სავაჭრო) ნიშანი და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლება ნებისმიერ მასალასა თუ შინაარსზე, რომელიც გამოყენებულია ვებ-გვერდის ნაწილად, ნებისმიერ დროს, გვეკუთვნის ჩვენ, ან მათ ვინც გვაწვდის ასეთი საკუთრების გამოყენების ლიცენზიას/ნებართვას. ასეთი მასალების გამოყენება თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ იმ ფარგლებში და მიზნებით, რაზეც ჩვენ ან ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი პირები, წინასწარ გაძღებთ ნებართვას. ეს პირობა არ გზღუდავს, რომ გამოიყენოთ ვებ-გვერდი თქვენი შეკვეთის ან საკონტაქტო დეტალების ასლების გაკეთების მიზნით.

18. ვირუსები, მეკობრეობა და სხვა კიბერ შეტევები თქვენ გეკრძალებათ ამ ვებ-გვერდის შეუსაბამოდ გამოყენება, მათ შორის, წინასწარი შეცნობით მასზე ე.წ „ვირუსების“, „ტროას ცხენების“, „ჭიების“, „ლოგიკური ბომბების“ ან სხვა

პროგრამების ან ტექნიკურად ზიანის მომტანი ან სახიფათო მასალების გავრცელება. თქვენი მხრიდან ჩვენს ვებ-გვერდზე, სერვერზე, რომელზეც განთავსებულია ჩვენი ვებ-გვერდი, ან ნებისმიერ სერვერზე, კომპიუტერზე ან მონაცემთა ბაზაზე, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს ვებ-გვერდთან, არაავტორიზებული წვდომის მოპოვება ან ამის მცდელობა - აკრძალულია. თქვენ იღებთ ვალდებულებას, რომ არ მოახდენთ ამ ვებ-გვერდზე ნებისმიერი ფორმის კიბერ შეტევას, მათ შორის DS და DDS შეტევას.

ამ პუნქტთან დაუმორჩილებლობა განიხილება, როგორც შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევა. ასეთ დარღვევას კი, ჩვენ შევატყობინებთ შესაბამის ორგანოებს და ვითანამშრომლებთ მათთან, რათა დავადგინოთ კიბერ შემტევის ვინაობა. ამასთან, ამ პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, ჩვენ დაუყოვნებლივ შევზღუდავთ ჩვენს ვებ-გვერდზე წვდომას. ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი ნებისმიერ სახის ზიანზე, რომელიც გამოწვეულ იქნება სერვისის მიწოდებაზე კიბერ შეტევით, „ვირუსით“ ან სხვა პროგრამით ან ტექნოლოგიურად დამაზიანებელი ან მავნე მასალით, რომელიც გავლენას ახდენს თქვენს კომპიუტერზე, ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ მოწყობილობებზე, მონაცემებზე ან მასალაზე და ეს შედეგი, თავის მხრივ, დადგა ამ ვებ-გვერდის გამოყენებით, მისგან რაიმეს გადმოტვირთვით, ან მასზე განთავსებული ბმულების გამოყენებით.

19. ჩვენს ვებ-გვერდზე მოცემული ბმულები თუ ჩვენს ვებ-გვერდზე მოცემულია სხვა ვებ-გვერდების ან მესამე პირთა მასალის ბმული (ციფრული მისამართი), ასეთი ბმულები მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და ჩვენ არ გვაქვს კონტროლი იმ მასალაზე, რომელიც განთავსებულია ამ ბმულების შესაბამის ვებ-გვერდებზე. შესაბამისად, ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ნებისმიერი სახის ზიანზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ასეთი ვებ-გვერდების/მესამე პირების მასალების გამოყენებით.

20. წერილობითი კომუნიკაცია შესაბამისი კანონმდებლობა/რეგულაციები მოითხოვს, რომ ზოგიერთი ინფორმაცია ან შეტყობინება, რომელსაც ჩვენ თქვენ გაწოდებთ, იყოს წერილობითი ფორმის. ამ ვებ-გვერდის გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით, რომ ჩვენთან კომუნიკაციის უმეტესი ნაწილი მოხდება ელექტრონულად. ჩვენ დაგიკავშირდებით ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან მოგაწოდებთ ინფორმაციას ვებ-გვერდზე ანოტაციების გამოქვეყნების გზით.

სახელშეკრულებო მიზნებისთვის, თქვენ აცხადებთ და ეთანხმებით, რომ გამოიყენებთ კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებს და დადგენილად მიიჩნევთ, რომ ყველა ხელშეკრულება, ნოტიფიკაცია, ინფორმაცია და სხვა კომუნიკაცია, რომელსაც ჩვენ თქვენ ელექტრონულად გამოგიგზავნით, შეესაბამება

კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი კომუნიკაციის მოთხოვნებს. წინამდებარე პირობა გავლენას არ მოახდენს თქვენს კანონისმიერ უფლებებზე.

21. შეტყობინებები თქვენს მიერ ჩვენთვის შეტყობინების გამოგზავნა უნდა მოხდეს ვებ-გვერდზე არსებული ონლაინ კონსულტაციის (ე.წ. „ჩათის“) მეშვეობით ან სოციალურ ქსელებზე არსებული ჩვენი ოფიციალური მომხმარებლის (ე.წ. „ექაუნთის“) გვერდებისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

მე-20 მუხლის პირობების შესაბამისად და იმ შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ჩვენ შეგვიძლია გამოგვიგზავნოთ შეტყობინება თქვენს მიერ, შეკვეთის გაკეთებისას მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან საფოსტო მისამართზე.

დადგენილად არის მიჩნეული, რომ შეტყობინებები მიღებულ იქნება და შესაბამისი ქმედება განხორციელდება მათი ჩვენს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე, ან თუ შეტყობინება გამოგზავნილ იქნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, გამოგზავნიდან 24 საათში, ან თუ შეტყობინება გამოგზავნილ იქნება მატერიალური ფორმით, საფოსტო მისამართზე, ასეთ საფოსტო გზავნილის გამოგზავნიდან სამ დღეში. იმის დასადასტურებლად, რომ შეტყობინება მართლაც გამოიგზავნა: მატერიალური ფორმის საფოსტო გზავნილი შემთხვევაში, საკმარისია ის ფაქტიც, რომ ის სწორ მისამართზე იქნა გაგზავნილი და რომ, შესაბამისი საკომისიო გადახდილ იქნა და შეტყობინება მიტანილ იქნა საფოსტო ოფისში ან საფოსტო ყუთში; ელექტრონული ფოსტის შემთხვევაში კი, საკმარისია ის ფაქტიც, რომ შეტყობინება მიმღების მიერ მოწოდებულ ელექტრონულ მისამართზე იქნა გაგზავნილი.

22. უფლებების ან/და ვალდებულებათა გადაცემა ხელშეკრულება სავალდებულოდ შესასრულებელია მისი ნებისმიერი მხარისათვის და ასევე, შესაბამისი უფლებამონაცვლისთვის, მემკვიდრისთვის და უფლების მიმღებისთვის.

ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, თქვენ არ გაქვთ უფლება, რომ გადასცეთ (მათ შორის, ცესიის გზით), დათმოთ, ან სხვა რაიმე ფორმით უფლებრივად გადასცეთ ხელშეკრულება ან მისგან მომდინარე რომელიმე უფლება ან ვალდებულება მესამე პირებს.

თავის მხრივ, ჩვენ, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, გვაქვს უფლება, რომ გადავცეთ (მათ შორის, ცესიის გზით), დავთმოთ, გავაფორმოთ ქვეხელშეკრულება ან სხვა რაიმე ფორმით გადავცეთ ხელშეკრულება ან მისგან მომდინარე რომელიმე უფლება ან ვალდებულება მესამე პირებს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ჩვენი მხრიდან მსგავსი გადაცემა, ცესია, დათმობა, ქვეხელშეკრულების გაფორმება ან სხვაგვარი გადაცემა, გავლენას არ მოახდენს იმ

უფლებებზე, რომელიც თქვენ, როგორც მომხმარებელს, კანონის საფუძველზე გაქვთ მინიჭებული და ასევე, რაიმე ფორმით არ გააუქმებს, შეამცირებს ან შეზღუდავს იმ გაცხადებულ და ნაგულისხმევ გარანტიებს, რომელიც ჩვენ თქვენ მოგვცით.

23. ჩვენს კონტროლს მიღმა არსებული მოვლენები ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი თუკი ის ვალდებულებები, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ავიღეთ, სათანადოდ ან დროულად ვერ სრულდება ისეთი მოვლენების გავლენით, რომელიც ჩვენს კონტროლს მიღმაა („ფორს-მაჟორი“).

ფორს-მაჟორი მოიცავს ნებისმიერ აქტს, მოვლენას, გამოყენების შეუძლებლობას, დაუდევრობას ან შემთხვევითობას, რომელიც ჩვენს ობიექტურ კონტროლს მიღმაა, მათ შორის, მაგრამ არამარტო, შემდეგი მოვლენები:

- ა) გაფიცვა, ლოკაუტი ან სხვა ფორმის პროტესტი;
- ბ) სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, ტერორისტული აქტები და მუქარები, მტრული ძალების შემოტევები, ომი (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ის), ომისთვის მზადება ან ომის დაწყების მუქარა;
- გ) ხანძარი, აფეთქება, შტორმი, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ეპიდემია და სხვა ბუნებრივი კატასტროფები;
- დ) მატარებლების, გემების, ავიაციის, მოტორიანი ტრანსპორტის ან სხვა სატრანსპორტო საშუალებების (საზოგადოებრივი ან/და კერძო) გამოყენების შეუძლებლობა;
- ე) კერძო ან საზოგადოებრივი საკომუნიკაციო სისტემების გამოყენების შეუძლებლობა;
- ვ) მთავრობის ან სხვა საჯარო ორგანიზაციის აქტები, დეკრეტები, კანონები, რეგულაციები ან შეზღუდვები;
- ზ) საზღვაო, მდინარის ან საფოსტო სატრანსპორტო სერვისის სექტორში, ან სხვა ფორმის სატრანსპორტო სერვისის სექტორში არსებული/მომხდარი გაფიცვა, უბედური შემთხვევა ან ჩავარდნა.

დადგენილად არის მიჩნეული, რომ ხელშეკრულებიდან მომდინარე ჩვენი ვალდებულებების შესრულება შეჩერდება იმ პერიოდში, როდესაც სახეზეა ფორსმაჟორი და ჩვენს მიერ ვალდებულებების შესრულების ვადები გაგრძელდება იმ დროით, რომლის განმავლობაშიც სახეზე იყო ფორს-მაჟორი. ჩვენ მივიღებთ ყველა ზომას, რათა ფორს-მაჟორული გარემოება სასწრაფოდ აღმოიფხვრას, ან რომ ვიპოვოთ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ალტერნატიული გზა/გამოსავალი, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ფორს-მაჟორული გარემოება.

24. უფლებებზე უარის გაცხადება ჩვენი მხრიდან მოთხოვნის განუცხადებლობა, რომ თქვენს მკაცრად დაიცვათ თქვენს მიერ ხელშეკრულებით ან ამ პირობებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება, ან ჩვენი მხრიდან უფლებების გამოუყენებლობა, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებლობა, რომელიც მონიჭებული გვაქვს ხელშეკრულებით ან ამ პირობებით - არ ნიშნავს რომ ჩვენ უარს ვამბობთ, ან რაიმე ფორმით ვზღუდავთ ჩვენს ასეთ უფლებას ან ქმედების განხორციელების შესაძლებლობას და ასევე, არ გათავისუფლებთ თქვენ, შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისგან.

ჩვენი მხრიდან, ხელშეკრულებით ან ამ პირობებით ჩვენთვის მონიჭებულ რომელიმე კონკრეტულ უფლებაზე ან ქმედების განხორციელების შესაძლებლობაზე უარის თქმა, არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარს ვამბობთ სხვა უფლებებსა თუ ქმედებათა განხორციელების შესაძლებლობაზე.

ჩვენი მხრიდან, ხელშეკრულებით ან ამ პირობებით ჩვენთვის მონიჭებულ რომელიმე კონკრეტულ უფლებაზე ან ქმედების განხორციელების შესაძლებლობაზე უარის თქმა, არ იქნება ნამდვილი და არ გამოიწვევს შესაბამის შედეგს, თუ ეს ფაქტი/ინფორმაცია თქვენთვის ამ პირობებით დადგენილი შეტყობინებების წესების დაცვის გზით არ იქნა მოწოდებული და თუ ასეთ შეტყობინებაში, ხაზგასმით არ იქნა აღნიშნული, რომ ჩვენ უარს ვამბობთ კონკრეტულ უფლებაზე ან ქმედების განხორციელების შესაძლებლობაზე.

25. ნაწილობრივი გაუქმება თუ ამ პირობების ნებისმიერი ნაწილი ან ხელშეკრულების რომელიმე ნაწილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე, გაუქმებულად ან ბათილად იქნა გამოცხადებული, პირობების ან ხელშეკრულების დარჩენილი წესები და პირობები დარჩება ძალაში.

26. ხელშეკრულების მთლიანობა წინამდებარე პირობები და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც ხსენებულია მასში, მათი მიზნებიდან გამომდინარე, შეადგენს შესაბამის მხარეებს შორის გაფორმებულ ერთ მთლიან ხელშეკრულებას, რომელიც ანაცვლებს მხარეებს შორის წერილობით ან ზეპირად გაფორმებულ ნებისმიერ წინა შეთანხმებას ან დაპირებას. მხარეები აცნობიერებენ, რომ თუ წინამდებარე პირობებში კონკრეტული მითითება არ იქნა გაკეთებული, მათ (მხარეებმა) ეს ხელშეკრულება გააფორმეს, მხარეებს შორის მანამდე (ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე) არსებული მოლაპარაკებების საფუძველზე გაკეთებულ განცხადებებზე ან გაფორმებული დოკუმენტებზე, ან რომელიმე მხარის მიერ გაცხადებულ რაიმე პირვანდელ დეკლარაციაზე, პირობაზე, ან გამოტანილ დასკვნაზე დაყრდნობის გარეშე.

არც ერთი მხარე არ მიიღებს რაიმე ზომებს იმ ცრუ/არასწორ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელიც რომელიმე მხარის მიერ, წერილობით ან ზეპირად გაკეთდა ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს თაღლითური გზით მოხდა). რეაქციული ქმედებები, რომლებსაც რომელიმე მხარემ შესაძლოა მიმართოს, გამოწვეული უნდა იყოს ხელშეკრულების დარღვევის შედეგად, ამ პირობების შესაბამისად.

